MES 2 23 0000138938

07/02/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.01.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:25სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის თავმჯდომარე: თამარ სირაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
3. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
5. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის: პროფესორი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
8. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
10. **ლევან მოსახლიშვილი -** სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
11. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ეკა შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
15. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
1	კახა შენგელია	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	დაწესებულების პრეზიდენტი	I
2	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	I
3	მარიამ მენაბდე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ბორის ლეჟავა		კვლევების და სტრატეგიული განვითარების დარგში	I

			დაწესებულების ვიცე პრეზიდენტი	
5	ნუგზარ სხირტლაძე		სასწავლო დარგში დაწესებულების ვიცე პრეზიდენტი	I
6	საფფეთ ბაირაქთუთან		რექტორი	II, III
7	ნინო ჯოჯუა		ვიცე-რექტორი ხარისხის განვიტარების მიმართულებით	II, III
8	მაია ჩხოტუა		პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	თეა კბილცეცხლაშვილი		ვიცე - რექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	II, III
10	ეკა ფიფია	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	„განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო და „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II
11	ბაია ივანეიშვილი		„საერთაშორისო ურთიერთობების“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების და „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III
12	მარინა გედევანიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
13	ირმა გრძელიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
14	ნინო ქიმერიძე		ხარისხის უზრუნველყოფის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	V
15	თამარ გაგოშიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	V
16				V

	ხათუნა მარწყვიშვილი		დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში, პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	
17	მანანა მელიქიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	V
18	ლილი ხეჩუაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	V
19	ნანა ჯულაყიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	VI
20	მანუჩარ ჩიქოვანი		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	VI
21	მირანდა მნაცაკანიანი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	VI
22	ლელა თურმანიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	VII
23	ვლადიმერ ღლონტი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმზღვანელი	VII
24	ლალი კალანდაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	VII
25	ნუგზარ ლომიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	VII
26	პაატა კერვალიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	VII

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი

1	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ვახტანგ კასრელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ალექსანდრე წაქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მარიამ კილანავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ნინო ჯავახიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	თამარ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ნათია ბადრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ნათია ოჩხიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
14	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ინგლისური ფილოლოგიის” ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა ;

3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

√ არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ინგლისური ფილოლოგიის” ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა **;**
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის №1, თბილისი, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტმა, თამთა ცხოვრებაძემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები:

- რეკომენდებული იყო, პროგრამის მიზნები მკაფიოდ ყოფილიყო განსაზღვრული და ნათლად აესახა თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებდა პროგრამა. ასევე წარმოეჩინა პროგრამის ინდივიდუალიზმი და პრიორიტეტეტბი;
- რეკომენდებული იყო, საბაზისო საინჟინრო მიმართულების გაძლიერება პროგრამაში, გეოდეზიის, საშენი მასალებისა და გამოყენებითი მექანიკის სასწავლოკურსების/თემატიკის დამატება;
- რეკომენდებული იყო ერთიანი ეროვნული გამოცდების შესაბამისად ჩარიცხულ სტუდენტებს განსაზღვრული ჰქონოდათ ინგლისური ენის ფლობის დონე;
- რეკომენდებული იყო დარგის აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვა და გაძლიერებულიყო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ 1.1. კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია გახლდათ განსახვავებული და მათი მხრიდან რეკომენდაცია არ იყო გაზიარებული. დასკვნის აღწერილობით ნაწილში ექსპერტების მიერ დადასტურებული იყო, რომ პროგრამის მიზნები შემუშავებული იმის მიხედვით რომ, პროგრამა პასუხობდა შრომის ბაზარზე არსებულ ტენდენციებს. აღნიშნულ პროცესში დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა როგორც ქართული ასევე უცხოური კომპანიების მოთხოვნები. ასევე დასკვნაში ნაჩვენები იყო, რომ პროგრამის მიზნები და კონცეფცია გაზიარებული იყო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. შესაბამისად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს არ უნდა ჰქონოდა შეკითხვები. უშუალოდ მიზნის შემუშავების პროცესში ჩართული იყო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი, მიზნის სამივე კომპონენტი დაწერილი იყო გააზრებულად, მიზნები ჩამიყალიბებული იყო აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით და 1.1. კომპონენტის კრიტერიუმების სრული დაცვით. რაც შეეხებოდა რეკომენდაციის მეორე ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტის 1.1. კომპონენტის არცერთი კრიტერიუმი არ მოითხოვდა, რომ მიზანში გამოჩენილიყო პროგრამის ინდივიდუალიზმი და პრიორიტეტები, აღნიშნული სათანადოდ იყო აღწერილი მიზნებში. იმის თაობაზე, თუ სად ჩანდა აღნიშნული კომპონენტები თავად პროგრამის ხელმძღვანელი ისაუბრებდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ მენაბდემ განაცხადა, რომ ყურადღებას გაამახვილებდა პროგრამის მეორე მიზანზე, რომელშიც ასახული იყო, რომ სტუდენტს უნდა მიეღო კვლევაზე დაფუძნებული მრავალმხრივი, სინთეზური, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რათა მას სისტემურ ანალიზზე დაყრდნობით მოეხდინა არქიტექტურული მიმართულებების ერთიანობაში მოქცევა. პროგრამის უნიკალურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ დაცული იყო თეორიული და პრაქტიკული საგნების ბალანსი. თეორიულ საგნებში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით სტუდენტი შეძლებდა პრაქტიკული სამუშაოს ე.წ. პროექტის

წარმოდგენას. მესამე მიზანი გამოყოფდა გლობალურ არქიტექტურულ ფასეულობებს. ისტორიულ და ურბანულ გარემოში შესაძლო პროექტირებას მდგრადი არქიტექტურის პრინციპების, უსაფრთხოების და პროფესიული ეთიკის ნორმების გათვალისწინებით. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ მსოფლიო იდგა გლობალური გამოწვევების წინაშე, როგორიც იყო გლობალური დათბობა, ჰაერის დაბინძურება, ქაოტური მშენებლობა, უსაფრთხოების ნორმები. სწორედ ამ გამოწვევებისათვის უნდა ეპასუხა პროგრამას. აღნიშნულიდან გამომდინარე აკადემიურმა პერსონალმა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტების ჩართულობით, კვლევის და საბაკალავრო პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა ჩამოაყალიბა არსებული სახით. პროგრამაში განხორციელდა მდგრადი არქიტექტურის საგნის დამატება, უსაფრთხოების ნორმების თვისობრივად გათვალისწინება განხორციელდა „არქიტექტურული დაგეგმარებისა“ და „ურბანული დაგეგმარების“ საგნებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის მიზნების მყარი შინაარსი გახლდათ იმის პასუხი, რომ ექსპერტებს აკრედიტაციის სხვა სტანდარტებთან მიმართებით გაკეთებული ჰქონდათ დადებითი შეფასება, რაც მთლიანობაში მეტყველებდა პროგრამის სიძლიერეზე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას საბაზისო ინჟინერიის მიმართულების გაძლიერებასთან დაკავშირებით, აღნიშნული შესაძლოა ყოფილიყო სადაო ვინაიდან პროგრამაში ისწავლებოდა აღნიშნული კონცენტრაცია. შინაარსობრივად ბევრი საგანი მოიცავდა აღნიშნულ მიმართულებებს. მათ გარკვეულწილად გაიზიარეს ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია და არჩევითი საგნების ბლოკში დაემატა გარკვეული საგნები. მათ ვისაც სურვილი ექნებოდათ მითითებული კუთხით გაემყარებინათ ცოდნა, ჰქონდათ ამის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა დაშვების წინაპირობებთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აქცენტი ძირითადად კეთდებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელი სტუდენტებისათვის მიღების წიანპირობად განსაზღვრული იყო ინგლისური ენის დონე B2. აღნიშნული დონე არ იყო განსაზღვრული ქართველი სტუდენტებისათვის, ვინაიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუდენტებს მოეთხოვებოდათ ინგლსიური ენის ფლობა B1 დონეზე. შესაბამისად უნივერსიტეტი ვერ დააწესებდა განსხვავებულ ზღვარს. იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც დაუდასტურდებოდათ ინგლისური ენის დაბალი დონე, პროგრამაში გათვალისწინებული იყო ინგლისური ენის კომპონენტი, ასევე თავისუფალი კრედიტები, რომლის მეშვეობით სტუდენტები შეძლებდნენ დამატებით შეესწავლათ ინგლისური ენა. აღინიშნა, რომ პროგრამაში ისე იყო აგებული უცხო ენის კომპონენტი, რომ გამორიცხული იყო სტუდენტს არ დაესრულებინა პროგრამა C1 დონეზე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებდა. უნივერსიტეტის სტრატეგია გახლდათ, რაც შეიძლებოდა მეტი აფილირებული აკადემიური პერსონალის აყვანა არა მხოლოდ აღნიშნულ კონკრეტულ პროგრამასთან მიმართრებით. უნივერსიტეტი აკადემიურ აფილირებულ პერსონალს სთავაზობდა განსხვავებულ პირობებს, ხელფასს 12 თვის განმავლობაში, რომელშიც იგულისხმებოდა როგორც აკადემიური საათების ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანაზღაურება. პროფესორებთან იდებოდა სპეციალური კონტრაქტი და ერგებოდა კონკრეტული პირის კვლევით პოტენციალს. უშუალოდ განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი, აპლიკანტების რაოდენობიდან გამომდინარე იგეგმებოდა 5 აკადემიური პერსონალის აყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება და ჰქონდათ თუ არა შესაბამისი ინფრასტრუქტურა სტუდიების კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისურენოვან „არქიტექტურის“ პროგრამაზე იყო მზარდი მოთხოვნა, უნივერსიტეტს ჰქონდა საკმაოდ კარგი სტუდეიები,

ღებულობდნენ კერძო შეკვეთებს სხვადასხვა ორგანიზაციებისგან. მათი ქართულენოვანი „არქიტექტურის“ კურსდამთავრებულებში ფიქსირდებოდა თითქმის 100 % იანი დასაქმება.
საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით დაწესებულების პოლიტიკით და სამომავლო გეგემებით.
დაწესებულების პრეზიდენტმა, განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა საკმაოდ მაღალი მოთხოვნები აკადემიურ პერსონალთან მიმართებით. ბაზარი გახლდათ საკმაოდ მწირი მაღალკვალიფიციურ ინგლისურენოვან ლექტორებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობდა მოეწვია ბაზარზე მოთხოვნადი არქიტექტორები, თეორეტიკოსებთან დაკავშირებით უნივერსიტეტი თანამშრომლობდა უცხოეთის უნივერსიტეტებთან.
საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე დაინტერესდა, უნივერსიტეტში აფილირებული პერსონალის მიმართ თუ იყო დაწესებული სანქციები იმ შემთხვევაში თუ ვერ შეასრულებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან იდებოდა მათთან შეთანხმებით კონკრეტულ სემესტრში მიმდინარე დატვირთვის გათვალისწინებით. მოვალეობები არ იყო უნიფიცირებული, პირობები მორგებული იყო კონკრეტულ პროფესორზე, რაც იძლეოდა იმის საფუძველს რომ უნივერსიტეტს არ გამოეყენებინა რაიმე ტიპის სანქციები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ბორის ლეჟავამ განაცხადა, რომ პროფესორებთან ხელშეკრულებები იდებოდა იმ პერიოდით რა ვადითაც იგეგმებოდა მათთან თანამშრომლობა, აფილირებასთან მიმართებით იდებოდა A ტიპის ხელშეკრულება, ყოველწლიურად კეთდებოდა ხელშეკრულების დანართები, შესაბამისად თუ რა ტიპის კვლევით მიმართულებაში იყო ჩართული აკადემიური პერსონალი და რა პრიორიტეტები ჰქონდათ მათი დატვირთვა ნაწილდებოდა სამი მიმართულებით: კვლევა, ადმინისტრაცია და სწავლება. თუ მიმდინარე წელს ვერ მოხდებოდა სტატიის გამოქვეყნება, წლის ბოლოს აღნიშნული აისახებოდა დანართში და სტატიის გამოქვეყნება დაიგეგმებოდა მომდევნო წელს. შესაბამისად უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა მოქნილი სისტემა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:00
დასრულების დრო: 14:30

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები, რის საფუძველზეც შეიცვალა სტანდარტების შეფასება, კერძოდ, 1.1. კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად შეიცვალა პირველ სტანდარტის შეფასება და განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმის წარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „არქიტექტურის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საბაზისო საინჟინრო მიმართულების გაძლიერება პროგრამაში, გეოდეზიის, საშენი მასალებისა და გამოყენებითი მექანიკის სასწავლო კურსების/თემატიკის დამატება;
- რეკომენდებულია, ერთიანი ეროვნული გამოცდების შესაბამისად ჩარიცხულ სტუდენტებს განესაზღვროთ ინგლისური ენის ფლობის დონე;
- რეკომენდებულია დარგის აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვა და გაძლიერდეს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი;

რჩევები:

- სასურველია პროგრამის მიზნები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და ნათლად ასახავდეს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. ასევე, წარმოაჩინოს პროგრამის ინდივიდუალიზმი და პრიორიტეტები;
- სასურველია გადახედილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და დაზუსტდეს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკა;
- სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, სასურველი იქნება ჯგუფური სამუშაო სივრცეების და სახელოსნოების დამატება, ერთიანი სამუშაო სივრცის ხელშეწყობა.
- სასურველია არქიტექტურისა და მომიჯნავე დარგების ლიტერატურის ბეჭდური სახით წამოდგენა და პერიოდული საერთაშორისო გამოცემებისა და ჟურნალების ხელმისაწვდომობის გაზრდა სტუდენტებისათვის.

2. მეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილების ნომერი #433, თარიღი 09/12/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ინგლსიური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13-ე კმ, #2, 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა თამარ სირაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ „ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 2011 წლიდან ხორციელდებოდა სოციალური, ჰუმანიტარული და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე. პროგრამამ განიცადა საკმაოდ ბევრი ცვლილება. აკრედიტაციის პროცესისათვის მზადების პერიოდში პროგრამაში ინტეგრირებული იქნა „მასწავლებლის მომზადების“ 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებული იყო, ინგლისური ენის კომპეტენციის დონედ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულიყო C1 დონე (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად);
- რეკომენდებული იყო, შრომის ბაზრის მზარდი კონკურენტული გარემოსთვის სტუდენტთა მაქსიმალურად მომზადების მიზნითა და მათი დასაქმების რეალური პერსპექტივების გათვალისწინებით, ბიზნესისა და პროგრამაში დასახელებულ დასაქმების სფეროებთან - ტურიზმი და მას-მედია ასოცირებული აქტივობების გამრავალფეროვნება, კონკრეტულად - ბიზნესის, ტურიზმისა და მას-მედიის მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის გავლა, ან პროგრამაში აღნიშნული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის მითითება. ბიზნესსა და ტურიზმთან მიმართებით, ასევე განიხილებოდა „ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის სწავლების (TEFL)“ სპეციალური მიმართულებიდან „ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის (ESP)” შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის - ბიზნეს ინგლისურის, ინგლისური ტურიზმისთვის ან კომბინირებული ვერსიის „ინგლისური ბიზნესისა და ტურიზმისთვის“ (English for Business and Tourism) დამატების შესაძლებლობა;
- რეკომენდებული იყო, პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების გადახედვა ინგლისური ენის კომპეტენციის C1 დონეზე დამადასტურებელი შედეგის შეფასების კუთხით;
- რეკომენდებული იყო, განხორციელებულიყო უცხო ენების კურსების კრედიტთა შესაბამისი გადანაწილება პროგრამით გათვალისწინებულ რაოდენობასთან (20 კრედიტი) მიმართებით.

ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაციის საფუძველი გახლდათ მიზნებში და შედეგებში დაფიქსირებული ჩანაწერი ენობრივი კომპეტენციის სამიზნე დონესთან დაკავშირებით, რომელიც პროგრამაში განსაზღვრული იყო როგორც, კურსდამთავრებულები ფლობდნენ ინგლისურ ენას (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა) B2-C1 დონეზე. აღნიშნულმა ჩანაწერმა გამოიწვია ბუნდოვანება, ვინაიდან მითითებული იყო ორი დონე, აღნიშნული ორი დონე არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. პროგრამაში ჩართული იყო არაერთი უცხოენოვანი პროფესორი, პროგრამას გააჩნდა ყველანაირი რესურსი სტუდენტებისათვის შეეთავაზებინა C1 დონე. გარდა ამისა კურსდამთვარებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ ჰქონდათ სურვილი დაუფლებოდნენ დადასტურებულ C1 დონეს. უნივერსიტეტის ენების ცენტრში თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში

სტუდენტებს შეეძლოთ აერჩიათ მოსამზადებელი კურსი. ვიზიტის დროს დამსაქმებლებისაგან აღინიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ ენის ცენტრებში, მათი ენის ფლობის მაღალი დონიდან გამომდინარე ისინი კითხულობდნენ C1 დონის კურსებს.
ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ ისაუბრა მეორე რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების კვლევით გამოიკვეთა, რომ გარდა იმისა, რომ კურსდამთავრებულების უმეტესობა საქმდებოდა ინგლისური ენის პედაგოგად, ბევრი მათგანი საქმდებოდა ბიზნესთან ასოცირებულ პოზიციებზე. დამსაქმებლების კვლევაში დაფიქსირებული იყო, რომ მათ ჰქონდათ სურვილი კურსდამთავრებულებს ჰქონოდათ იმპორტ-ექსპორტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის თარგმნის კომპეტენცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა იყო მრავალფეროვანი და მდიდარი სხვადსხვა კურსებით, გამოიხატა ბიზნეს ინგლსიურთან და ტურიზმთან ასოცირებული კურსების ნაკლებობა. რაც შეეხებოდა მას-მედიასთან დაკავშირებულ კურსს ის წარმოდგენილი იყო არჩევითი კურსების ბლოკში.
ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის კავშირში იყო პირველ რეკომენდაციასთან ვინაიდან ეხებოდა ინგლისური ენის C1 დონეზე დადასტურებას. პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასებისას პროფესურას შემუშავებული ჰქონდა სამ დონიანი განმამტკიცებელი კურსები, მათ შორის ენობრივი კომპეტენციისასთან დაკავშირებით იყო FCE რომელსაც უნდა დაედასტურებინა C1 დონე. აღნიშნულ კურსში შეუსაბამობა იყო სიტყვებშიც ვინაიდან FC გახლდათ First Certificate რომელიც ორიენტირებული იყო B2 დონეზე. კურსი ისწავლებოდა C1 დონის შესაბამისი წიგნით და ცალკე C1 დონის დადასტურება არ ხდებოდა. სამი წლის მანძილზე სხვადასხვა ინტენსიური კურსები გულისხმობდა სტუდენტის C1 დონეზე აყვანას, თუმცა ოფიციალურად შედეგის დამადასტარუბელი ტესტი არ იყო გათვალისწინებული.
ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ მეოთხე რეკომენდაცია შეეხებოდა უცხო ენების კურსების კრედიტს და მის შესაბამის გადანაწილებას. პროგრამაში შეთავაზებული იყო რამოდენიმე უცხო ენა, აღნიშნული კურსებისათვის გამოყოფილი იყო 20 კრედიტი. მოცემული საგნები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა გრადაციით. მაგალითად. ქართული ენა დასაფარი იქნებოდა 6 სემესტრში 30 კრედიტის ფარგლებში. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ ქართული ენის კურსი („ქართული ენის თარგმანის სტილისტიკა“) წარმოადგენდა „თარგმანის უნარჩევევები 1“ კურსის წინაპირობას. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ემსახურებოდა პროგრამის კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ დაწესებულება არ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია უცხო ენის დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით გულისხმობდა იმას, რომ პროგრამაში ფიქსირდებოდა ხარვეზი, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებოდნენ. უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა რეალისტური შეფასება B2 - C1 დონემდე. საშუალო და უფრო დაბალი დონის მქონე სტუდენტები ასრულებდნენ B2 დოენზე, ხოლო მაღალი შეფასების მქონე სტუდენტები ფლობდნენ C1 დონეს. პროგრამა შემუშავებული იყო და ეყრდნობოდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს, დარგობრივ დოკუმენტაციას, ენის დაუფლების და მასწავლებლის მომზადების დარგობრივ დოკუმეტებს. აღნიშნულ არცერთ დოკუმენტში არ იყო განსაზღვრული რაიმე კონკრეტული დონე. ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი ხაზგასმით აღნიშნავდა რომ ენის დაუფლების დონე ისევე როგორც სწავლის შედეგების ჩამონათვალი დამოკიდებული იყო პროგრამის პროფილსა და მიზნებზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ საბჭო გაიზიარებდა ექსპერტეთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს ინგლისური ენის დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იყო სხდომის ოქმში ასახული ყოფილიყო

დაწესებულების პოზიციაც, ვინაიდან შემდგომი აკრედიტაციის დროს, როდესაც პარალელურად შესასრულებელი და გასაანალიზებელი იქნებოდა მიღწეული სწავლის შედეგები, როგორც პროგრამის სწავლის შედეგი, გამოჩნდებოდა რომ მაღალი მოსწრების სტუდენტები ერთმნიშვნელოვნად მიაღწევდნენ C1 დონეს და დაწესებულების მიდგომა იქნებოდა მართალი. მან დაამატა, რომ დაწესებულების მოსაზრებით გაცემული რეკომენდაციები არ იყო სწორად გაცემული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ ბიზნეს ინგლისურის და ტურიზმის მიმართულებით ინგლისურის სწავლებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ნაწილობრივ გაიზიარეს დაწესებულების მოსაზრება და დააკორექტირეს რეკომენდაცია. დასაქმების სფეროში პროგრამაში მითითებული იყო, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები შესაძლო იყო დასაქმებულიყვნენ როგორც კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებში სადაც იქნებოდა მოთხოვნა ინგლსიური ფილოლოგიის კვალიფიკაციის მქონე ინგლისური ენის სპეციალისტებზე. დასაქმების სფეროებში არ იყო განსაზღვრული, რომ კურსდამთავრებულები იქნებოდნენ ბიზნესის და ტურიზმის სპეციალისტები და ასეთი სპეციალისტების მომზადებას ისახავდა მიზნად პროგრამა. დასკვნაში ექსპერტების მიერ ასახული იყო, რომ 2021-2022 წლის კურსდამთავრებულების დასაქმების ანალიზის მიხედვით, კურსდამთავრებულების ნაწილი დასაქმებული იყო ბიზნესის და ტურიზმის სფეროში, ასევე ენების ცენტრებში. ამავდროულად აღსანიშნავი იყო, რომ აღნიშნულ კუსრდამთავრებულებს, რომლებიც წარმატებულად იყვნენ დასაქმებულები სავალდებულო სახით არ ჰქონდათ გავლილი ბიზნესის და ტურიზმის მიმართულების ენის კურსები. სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნა, პროგრამაში გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობები აძლევდა სტუდენტს ფართო ცოდნას. რაც შეეხებოდა ბიზნეს ინგლისურის კურსს, ეს კურსი გახლდათ საერთო საუნივერსიტეტი კურსი და მისი გავლა სტუდენტებს შეეძლოთ თავისუფალი კრედიტების ფარგლებში. აღნიშნული კურსის გავლის წინაპირობას წარმოადგენდა ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე. სტუდენტების სხვადასხვა ინტერესებიდან გამომდინარე პროგრამაში სავალდებულო ვერ გახდებოდა ბიზნეს ინგლსიურის და ტურიზმის მიმართულებით ინგლსიურის კურსების გავლა. აღნიშნული კურსების გავლა სტუდენტს შეეძლო მხოლოდ საკუთარი სურვილიდან და ინტერესიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ უცხო ენის კურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 20 კრედიტი გამოყოფილი იყო მეორე უცხო ენის შესწავლისათვის, რომელიც შეთავაზებული იყო სტუდენტებისათის მათი სურვილის და ინტერესიდან გამომდინარე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 30 კრედიტი იყო საჭირო იმისათვის, რომ სტუდენტს გაეარა თარგმანმცოდნეობის და ქართული ენის სტილისტიკის კურსები. აღნიშნული კურსებისათვის დაწესებული იყო წინაპირობა B2 დონე. ასევე თავისუფალი კრედიტებიდან შეეძლო აერჩია კურსი იმისათვის, რომ მიეღწია შესაბამისი დონისათვის. თუ სტუდენტი ვერ დააკმაყოფილებდა წინაპირობას, შეეძლო აერჩია 25 კრედიტი. ჯამში შეთავაზებული იყო 108 კრედიტი. შესაბამისად სტუდენტს ეძლეოდა ყველანაირი შესაძლებლობა. პროგრამაზე ირიცხებოდნენ ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც კრედიტებს ანაწილებდნენ ორი ენის შესწავლაზეც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჩქოტუამ განაცხადა, რომ პროგრამა სრულდებოდა საბაკალავრო ნაშრომით, რომელიც წარმოადგენდა ოთხი წლის კულმინაციას, სადაც ხდებოდა ინგლსიური ენის დონის დადასტურება. B2 დონეზე პროგრამა გადიოდა პირველი სასწავლო წლის კურსებით (FC), ხოლო თეორიული კურსების გავლის საშუალება აღნიშნული დონის მიღწევის შემდგომ სტუდენტის მიერ შესაძლებელი იყო დარჩენილი სამი სასწავლო წლის განმავლობაში. დაწესებულების წარმმადგენლებს არ ჰქონდათ მოლოდინი იმისა, რომ ყველა სტუდენტი მიაღწევდა C1 დონეს, შესაბამისად აღებული იქნა რეალისტური შეფასება და დადგინდა B2-C1 დონე. რაც შეეხებოდა სტილისტიკის კურსს, სადაც განსაზღვრული იყო ქართული ენის ფლობა B2 დონეზე, ეხებოდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ

სტუდენტებს, რომელთათვისაც ქართული ენა არ იყო მშობლიური ენა. აღნიშნულ სტუდენტებს ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა წარმოედგინათ სერთიფიკატი ქართული ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ, რის შემდგომაც შეძლებდნენ სტილისტიკის სასწავლო კურსის გავლას. მიმდინარე ეტაპზე უნივერსიტეტს არ ჰქონდა გამზადებული B2 დონის სილაბუსი, თუმცა პროგრამაში წარმოდგენილი იყო ყველა სილაბუსი იმ დონეების მიხედვით რაც იყო მოთხოვნადი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით პროგრამის სავალადებულო საგნების ბლოკში წარმოდგენილი ლიტერატურის მიმართულება იყო მწირი. გათვალისწინებული იყო სულ სამი საგანი, ლიტერატურის თეორიის მიმართულებით რომელსაც ეწოდებოდა ტერმინები და მიმდინარეობები, ლიტერატურის ზოგადი კურსი და ზოგადი საგანი, დარგობრივი ინგლისურის შესავალი. რაც შეეხება იმ ნაწილს, რომელსაც ტრადიციულად უწოდებდნენ პერიოდიაციას, ინგლისური ლიტერატურის ისტორია, რაც შუა საუკუნეებიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით ისწავლებოდა პროგრამებში, წარმოდგენილი იყო არჩევით ბლოკში. არჩევითი ბლოკი მოიცავდა 25 კრედიტს, სადაც წარმოდგენილი იყო ძალიან საინტერესო, სოლიდური საგნები რომლებიც შესაძლებელი იყო არ აერჩია სტუდენტს. როგორც ცნობილი იყო ფილოლოგია გულისხმობდა ენისა და ლიტერატურის დაბალანსებულ შეთავაზებას. მას სურდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოესმინა როგორც დაწესებულების ასევე ექსპერტების პოზიცია. ასევე, საბჭოს წევრმა დაამატა რომ, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განსაზღვრული იყო B1 დონის ვალიდური საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენა. მას აინტერესებდა თუ რამდენად საკმარისი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეს დაეასტურებინა ენის ცოდნა B1 დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჩქოტუამ განაცხადა, რომ ლიტერატურის ბლოკი წარმოდგენილი იყო სამი მნიშვნელოვანი კურსით, რომელშიც ჩაშლილი იყო პერიოდებიც. პროგრამის სტრუქტურის აწყობისას გათვალისწინებული იყო სტუდენტების და კურსდამთავრებულების მოსაზრებებიც. მათ ჰქონდათ ლიტერატურის მიმართულება ფართოდ წარმოდგენილი, მაგრამ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ სამი კურსი ყოფილიყო სავალდებულო და პერიოდიზაცია გადატანილი ყოფილიყო სპეციალობის არჩევითი საგნების ბლოკში. რაც შეეხებოდა უცხო ენის დონის განსაზღვრას უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის B1 დონით, აღნიშნული დონე განისაზღვრა იმის მიხედვით თუ როგორი მოთხოვნა იყო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. აღნიშნული გახლდათ საუნივერსიტეტო მოთხოვნა და იმისათვის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შესაძლებლობა ჰქონოდა ესწავლა ინგლისურ ენაზე, განისაზღვრა B1 დონე და შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენის ვალდებულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ პროგრამა შემუშავებული იყო იმგვარად, რომ პირველ სემესტრში ხდებოდა ენის კომპეტენციის გაძლიერება შეთავაზებული სასწავლო კურსების საშუალებით. დაწესებულება გამოცდილებაზე დაყრდნობით მათი ქართულენოვანი და უცხოენოვანი სტუდენტები მათ მიერ განსაზღვრული მეთოდებით თავისუფლად გადიოდნენ სწავლის შედგებზე.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ განაცხადა, რომ პროგრამის საათობრივი ჩარჩოს გათვალისწინებით, პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეღწიათ C1 დონისათვის. მას აინტერესებდა ხომ არ ჰქონდა უნივერსიტეტს გაანალიზებული თუ რით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ სტუდენტების ნაწილი აღწევდა აღნიშნულ დონეს და გარკვეული ნაწილი აღწევდა B2 დონეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჩქოტუამ განაცხადა, რომ ყველა სტუდენტი არ იყო ერთნაირად მონდომებული, შესაბამისად ყველა ვერ ახერხებდა ინგლისური ენის ცოდნის დონის გაღრმავებას.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე დაინტერესდა პროცენტულად რამდენი სტუდენტი ვერ აღწევდა C1 დონეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჩქოტუამ განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა გაკეთებული ანალიზი იმის შესახებ თუ რაოდენობრივად რამდენი სტუდენტი ვერ აღწევდა C1 დონეს.
საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი დაინტერესდა თუ რა სახის ღონისძიებები ტარდებოდა უნივერსიტეტში საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით. ჰქონდა თუ არა დაწესებულებას წამახალისებელი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო კონფერენციებში და სხვადასხვა ღონისძიებებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჩქოტუამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ერსმუს+ -ის პროექტის ფარგლებში მოქმედებდა გაცვლითი პროგრამები, ასევე ჩაშვებული იყო ახალი თანამშრომლობები, რომლის ფარგლებში სტუდენტები შეძლებდნენ საერთაშორისო მობილობით სარგებლობას. სტუდენტი როდესაც ფაკულტეტს მიმართავდა ინიციატივით, რომ ის მონაწილეობას ღებულობდა გარკვეული ტიპის საერთაშორისო კონფერენციაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა წახალისების მიზნით აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსებას.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში ამოიკითხა ჩანაწერი სადაც მითითებული იყო, რომ განსაზღვრული იყო პლაგიატის დაშვების 10%. მან სთხოვა დაწესებულებას გაეკეთებინა განმარტება აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით, ვინაიდან თუ პლაგიატი დაიშვებოდა 10%-ით ეს ნაშრომი იქნებოდა მთლიანად პლაგიატი. მისი მოსაზრებით აუცილებელი იყო აღნიშნული ჩანაწერის კორექტირება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჩქოტუამ განაცხადა, რომ აღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმებოდა მსგავსების 10 %. საბჭოს წევრის შენიშვნა აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული და განხორციელდებოდა ჩანაწერის კორექტირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:35
დასრულების დრო: 15:48

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს

აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. საბაკალავრო პროგრამაში მკაფიოდ განისაზღვროს მისაღწევი ენობრივი კომპეტენციის მხოლოდ ერთი დონე CEFR თანახმად პროგრამის მიზნების, შინაარსის, პროფილის და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით და ორაზროვნების/ბუნდოვნების თავიდან აცილების მიზნით.
2. საჭიროა, შრომის ბაზრის მზარდი კონკურენტული გარემოსთვის სტუდენტთა მაქსიმალურად მომზადების მიზნითა და მათი დასაქმების რეალური პერსპექტივების გათვალისწინებით, ბიზნესისა და პროგრამაში დასახელებულ დასაქმების სფეროებთან - ტურიზმი და მას-მედია ასოცირებული აქტივობების გამრავალფეროვნება, კონკრეტულად, ბიზნესის, ტურიზმისა და მას-მედიის მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის გავლა, ან პროგრამაში აღნიშნული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის მითითება. ბიზნესსა და ტურიზმთან მიმართებით, ასევე განიხილება ,,ინგლისური ენის, როგორ უცხო ენის სწავლების (TEFL)“ სპეციალური მიმართულებიდან “ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის (ESP) “ შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის- ბიზნეს ინგლისურის, ინგლისური ტურიზმისთვის ან კომბინირებული ვერსიის ,,ინგლისური ბიზნესისა და ტურიზმისთვის” (English for Business and Tourism) დამატების შესაძლებლობაც);
3. აუცილებელია, პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების გადახედვა ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი შედეგის შეფასების კუთხით;
4. მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე პროგრამის სავალდებულო ბლოკი გაძლიერდეს დარგობრივი (ინგლისური) ლიტერატურის ისტორიის ამსახველი საკითხებით.
5. მნიშვნელოვანია, მოხდეს უცხო ენების კურსების კრედიტთა შესაბამისი გადანაწილება პროგრამით გათვალისწინებულ რაოდენობასთან (20 კრედიტი) მიმართებით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია, ზოგადად საერთაშორისო გამოცდილების მიღების კუთხით სტუდენტების მეტად გააქტიურება;
- სასურველია, პროგრამის მიღების წინაპირობაში მოცემული იყოს კონკრეტული რიცხობრივი მაჩვენებლები საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან საერთაშორისო სერტიფიკატების წარმოდგენის შემთხვევაში;
- სასურველია კურსში - „აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევები“ უფრო მეტად გამოიკვეთოს მეთოდის, შედეგისა და მოცემული/პრაქტიკულად გამოყენებული ლიტერატურის ურთიერთმიმართება;
- სასურველია, თუ დაწესებულება გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციიდან დამატებითი მოდულის ამოქმედების შემდეგ განახორციელებდა მონიტორინგს და იმსჯელებდა ახალი მოცემულობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და დასახვეწ დეტალებზე;

3. მესამე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილების ნომერი #1261874, თარიღი 24/11/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლსიური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13-ე კმ, #2, 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა თამარ სირაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია
ექსპერტმა, ირაკლი მანველიძემ აღნიშნა, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლსიურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით და თანდართული დოკუმენტაციით დაწესებულებამ დააასტურა რომ ინდივიდულურად განიხილა თითოეული რეკომენდაცია და განახორციელა ადეკვატური ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში. შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული და შესრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ რეკომენდაციები მიმართული იყო პროგრამის გაუმჯობესებისათვის, პროგრამის ხელმძღვანელმა სამუშაო ჯგუფთან ერთად გიაზრა და გაითვალისწინა თითოეული რეკომენდაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 16:00

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშოპრისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11]პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

4. მეოთხე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილების ნომერი #138, თარიღი 25/06/2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა # 73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, კორპუსი N 1; 0141 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა ნინო ჭალაგანიძემ და ლევან მოსახლიშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტმა, ნინო მესხიშვილმა განაცხადა, რომ 2022 წლის 8 ივლისის საბჭოს სხდომაზე განხილული იყო შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია, რომლის მიხედვით „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მოთხოვნებთან, რომლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა იყო არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავდა არაუმეტეს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი არ ფასდებოდა კრედიტებით. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალა და დაადგინა, რომ უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ კვლევითი კომპონენტის არცერთ შემადგენელ ნაწილს არ ენიჭებოდა კრედიტი. მხოლოდ დისერტაციის დაცვის შემდგომ სტუდენტს ენიჭებოდა 120 კრედიტი იმისათვის, რომ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეკრებილიყო 180 კრედიტი. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და უზრუნველყო პროგრამაში ჩანაწერის კორექტირება. ამჟამად განსაზღვრული იყო, რომ პროგრამის ხანგრძლივობა გახლდათ არაუმეტეს სამი წელი და სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილი იყო არაუმეტეს 60 კრედიტით. პროგრამიდან ამოღებული იქნა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ დისერტაციის დაცვის შემდგომ დოქტორანტს ენიჭებოდა 120 კრედიტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეწყდეს **შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის** „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილების ნომერი #1205376, თარიღი 09/11/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11		0313 - ფსიქოლოგია

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზ. # 11ა, თბილისი, 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა ნინო ჭალაგანიძემ, დავით ჩოჩიშვილმა, თამარ ზარანდიამ და ირინა გველესიანმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია
ექსპერტმა, ნათია ბადრიაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოგდგენილი ჰქონდა ანგარიში სამი რეკომენდაციის შესრულების თაობაზე. აღსანიშნავი იყო, რომ შესრულებული იყო ორი რეკომენდაცია, ხოლო ერთი რეკომენდაცია არ იყო შესრულებული, რომელიც ეხებოდა პროგრამაში პროფესიული ინგლისური ენის საკითხების სწავლების გაძლიერებას ინგლისურენოვანი დარგობრივი კურსების დაძლევის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მელიქიშვილმა განაცხადა, რომ როდესაც დაწესებულება ემზადებოდა „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის განხორციელდა სტუდენტების გამოკითხვა, თუ რისი გათვალისწინება სურდათ კურიკულუმში. სტუდენტების ძირითადი მოთხოვნა ეხებოდა პრაქტიკული

კურსების გაზრდას, რაც დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა. მხოლოდ ერთ სტუდენტს ჰქონდა სურვილი პროგრამას დამატებოდა სპეციალური ინგლისური ენის კურსი ფსიქოლოგებისათვის. აღნიშნული გამოკითხვის ანგარიში წარმოდგენილი იყო დოკუმენტაციაში. მას შემდეგ, რაც პროგრამის მიმართ დაფიქსირდა რეკომენდაცია პროფესიული ინგლსიური ენის სწავლების გაძლიერებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს უფრო დეტალურად შეესწავლათ აღნიშნული საკითხი. გამოკითხული იქნა სამასზე მეტი სტუდენტი, 85% სურვილი ჰქონდა გაევლო სპეციალური ფსიქოლოგიის კურსები. მხოლოდ გამოკითხულთა 15 % გამოხატა სურვილი გაევლო ინგლისური ენის კურსი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადად მათი სტუდენტები ირჩევდნენ ფსიქოლოგიის საგნებს. ბაკალავრიატში ისწავლებოდა ინგლსიური ენა, ასევე გათვალისწინებული იყო გარკვეული საგნების რაოდენობა, რომელთაც წინაპირობად განსაზღვრული ჰქონდა ინგლისური ენა. თითქმის ყველა საბაკალავრო საგანში დამატებით ლიტერატურად მითითებული იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება არ დაემატებინათ პროგრამაში პროფესიული ინგლსიური ენის გაძლიერებული კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და ვინაიდან ის იმყოფებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი როდესაც პროგრამა თავდაპირველად მიიღო აკრედიტაცია, სთხოვა ესაუბრა თუ რა იყო მიზეზი აღნიშნული რეკომენდაციის დამატების.

ექსპერტმა, ნათია ბადრიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დამატებული იყო აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან და ის არ იყო ფორმულირებული ექსპერტების მიერ.

საბჭოს თავმჯომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომაგენლებს განემარტათ თუ როგორ ხდებოდა მათ მიერ ექსპერტების და საბჭოს მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულება, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ მათ გაზიარებას და რა პრინციპით ხდებობა განსაზღვრა თუ რომელი რეკომენდაცია უნდა შესრულებულიყო და რომელი არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მელიქიშვილმა განაცხადა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც ექსპერტების ასევე საბჭოს წევრების უკუკავშირი. სწორედ აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე ჩატარდა სტუდენტების გამოკითხვა და განისაზღვრა მოცემული რეკომენდაციის შესრულების აუცილებლობა. ასევე აღინიშნა, რომ სპეციალური ინგლისური ენის კურსის დამატება საჭიროებდა რესურსს, ხოლო ინგლსიური ენის მცოდნე პირის მოძიება ფსიქოლოგიის მიმართულებით არ იყო მარტივი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტების მხრიდან გამოხატებოდა სურვილი კურსის დამატებაზე ასეთ შემთხვევაში დაწესებულება დაიწყებდა შესაბამისი განმახორციელებელი კადრების მოძიებას. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ არჩევითი საგნების სავალდებულო ლიტერატურის 10% წარმოდგენილი იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურით. მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 20%. ასევე პროგრამაში გათვალისწინებულია სრულად ინგლისურენოვანი კურსები. წარმოდგენილია 7 კურსი, რომლის არჩევა შეეძლოთ როგორც ქართველენოვან ასევე ინგლსიურენოვან სტუდენტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 17:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 0
წინააღმდეგი -12

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად საბჭომ მიმართოს ცენტრს აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში 60 დღის ვადაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით.

დაწესებულებას შესასრულებად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

პროგრამაში გაძლიერდეს პროფესიული ინგლსიური ენის საკითხების სწავლება ინგლსიურენოვანი დარგობრივი კურსების დაძლევის მიზნით.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლისს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილების ნომერი #1220351, თარიღი 12/11/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 - ქიმია

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ. # 59, ქუთაისი, 4600 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია
ექსპერტმა, ნათია ოჩხიკიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას შესარულებლად განსაზღვრული ჰქონდა თვრამეტი რეკომენდაცია, რომელთაგან სამი რეკომენდაცია იყო ნაწილობრივ გათვალისწინებული, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები გახლდათ შესრულებული. უნივერსიტეტის მიერ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული შემდგები რეკომენდაციები:
- სილბუსებში მნიშვნელოვნად გადასახედი და მეტად გასათვალისწინებელი იყო საგნის სპეციფიკა, როგორც შეფასების ისე ფორმატის გათვალისწინებით. კერძოდ, მნიშვნელოვნად შესაცვლელი იყო ზოგიერთი საგნის სილაბუსებში ლაბორატორიული მეცადინეობისათვის კვირაში დათმობილი საათების ხანგრძლივობა და ამოცანები. აუცილებელი იყო მომხდარიყო საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებული საათების გადანაწილება ოპტიმალურად, საჭიორების შემთხვევაში დამატება. (რეკომენდაცია 4).

ექსპერტმა, ნათია ოჩხიკიძემ აღნიშნა, რომ ორ შემთხვევაში აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო. „ორგანული ქიმია 1“ და „ორგანული ქიმია 2“-ში, თუმცა „ორგანული ქიმიის სინთეზის“ სილაბუსში რეკომენდაცია არ იყო გათვალისწინებული და დარჩენილი იყო 2 საათი, რაც არ იყო საკმარისი მოცემული ამოცანების შესასრულებლად. რაც შეეხებოდა მეთორმეტე რეკომენდაციას, რომელიც ნაწილობრივ იყო შესრულებული, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო ოქმი, რომელშიც ასახული იყო მსჯელობა რეკომენდაციის შესრულების შესახებ, თუმცა არ იყო ასახული შესაბამის სილაბუსში, რაც სავარაუდოდ წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს. მეთოთხმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, საჭირო

იყო გარკვეული ჭურჭლის, ხელსაწყოების შეძენა და ლაბორატორიის მოწყობა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა ვადები და სასაქონლო ზედნადებები სადაც ჩანდა გარკვეული შესყიდვები, ასევე უნივერსიტეტმა წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოწყობილი იყო ლაბორატორია, თუმცა ამის ამსახველი და დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იყო მიწოდებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები

დაწესებულების წარმომაგენელმა, მანუჩარ ჩიქოვანმა განაცხადა, რომ ღებულობდნენ საბჭოს რეკომენდაციას „ორგანული ქიმიის სინთეზის“ სილაბუსში ლაბორატორიული სამუშაოების გაზრდის შესახებ და გაზრდიდნენ აუცილებლად. სასწავლო კურსების „კომპიუტინგის შესავალი“, „კომპიუტერული უნარ-ჩვევბი“ და „კალკულუსი“ საგნის ხელმძღვანელებმა აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოიყვანეს შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგებთან. ცვლილებები ასახული იყო ქიმიის დეპარტამენტის სხდომის 2022 წლის 14 იანვრის №7 სხდომის ოქმში. როდესაც დაწესებულება ორგანიზებას უკეთებდა მტკიცებულებების შეკრებას, დაშვებული იქნა შეცდომა სილაბუსების გამოგზავნისას. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ლაბორატორიის შექმნის შესახებ, აღსანიშნავი იყო, რომ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოების ფარგლებში“ შექმნილი იყო ქიმიისა და ბიო უსაფრთხოების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იყო თანამედროვე აპარატურით. მათ გააჩნდათ ფოტო-ვიდეო მასალა და საფინანსო სამსახურიდან მიღება-ჩაბარების აქტები. თუმცა აღნიშნული მტკიცებულება არ იყო გამოგზავნილი. აღნიშნული ლაბორატორიის გახსნის ვიდეომასალა ასახული იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა როდის იყო ასახული აღნიშნული ვიდეომასალა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანუჩარ ჩიქოვანმა განაცხადა, რომ აღნიშნული მასალა განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ორი თვის წინ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა აღნიშნულ ვიდეომასალაზე ექსპერტს და მოახერხა თუ არა მისი გადამოწმება.

ექსპერტმა, ნათია ოჩხიკიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულის შესახებ მას არ ჰქონია ინფორმაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 16

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად საბჭომ მიმართოს ცენტრს აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში 60 დღის ვადაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- სილაბუსებში მნიშვნელოვნად გადასახედია და მეტად გასათვალისწინებელია საგნის სპეციფიკა, როგორც შეფასების, ისე ფორმატის გათვალისწინებით. კერძოდ, მნიშვნელოვნად შესაცვლელია ზოგიერთი საგნის სილაბუსებში ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის კვირაში დათმობილი საათების ხანგრძლივობა და ამოცანები.
- აუცილებელია მოხდეს საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული საათების ოპტიმალურად გადანაწილება და საჭიროების შემთხვევაში დამატება.
- რეკომედებულია სასწავლო კურსები, რომლებთაც შეეცვალათ სტატუსი, შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით, ვენტილაციის და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილების ნომერი #205350, თარიღი 09/11/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11		0533 - ფიზიკა

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. # 35/32, უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია
ექსპერტმა, ავთანდილ თავხელიძემ განაცხადა, რომ პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო შვიდი რეკომენდაცია. აღნიშნული რეკომენდაციები იყო შესრულებული, ერთი რეკომენდაცია მიღებული იქნა ცნობად დაწესებულების მიერ, თუმცა ვერ მოხდა მისი პრაქტიკაში გათვალისწინება ვინაიდან პროგრამაზე არ ირიცხებოდნენ დოქტორანტები. აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად რეკომენდირებული იყო სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებს უზრუნველეყოთ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ გითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული და შემდგომ საბჭოს მიერ დადასტურებული რეკომენდაციები. მისი მოსაზრებით ყველა რეკომენდაცია იყო მიმართული პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:20
დასრულების დრო: 17:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:აკრედიტაციის დებულების 27[6]მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11]პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 24 იანვრის 17:35 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
წევრი
სირაძე თამარ

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით